

ମେହିନୀ ବ୍ୟାକ୍

6

୧୯୫୦ ମେହିନୀ
ବ୍ୟାକ୍

୩୩୦୩୦୮୦

- 1940

ჩვენი თაობა

194
494

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კვლევითი ყოველთვიური ორგანიზაცია

6



სახელმწიფო გამოცემლობა
ტფილის
1940 წელი 03 6060

შინაარსი

შესტვრული ლიტერატურა

23.

ვალერიან გაფრინდაშვილი — აკაკის მეტადები	
სხვიტორში	5
გიორგი ძიგვაშვილი — აკაკის მოტივებიდან	6
ბონდონ ქეშელავა — ავადმყოფი აკაკის გოდება	8
ვლადიმერ სულაბერიძე — მყინვარები	10
აბლან ყაჩიაშვილი — უკვდაცება	11
ბუხრან შერგაშიძე — აკაკის წარწერა ბაზაკონის ტელევიზიონის კოდერვით	12
აკაკი — გამოუქვეყნებელი ლიქვები	13
მ. ღ-ვა — აკაკის ლექსი „შემილის სიზმარი“	15

პრიტკა

ვლადიმერ ზაბახაშვილი — აკაკი წერეთლის ლარეატურულ-ესთეტიკური კონცეფციისთვის	18
მიხეილ ჩიქოვანი — აკაკი წერეთლის ლექსიბის ფრაკტორული ვარიაციები	28
სოლომონ ცაიშვილი — აკაკი წერეთლის და ი. მეუნარევი	33
ივანე ბეგლაროვი — აკაკი წერეთლი სომხურ ლიტერატურულში	39
მიხეილ ზონენაშვილი — აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში	50
ვორეგი ჭავჩიშვილი — მოვონებათა ფურცლები	57
ჰაქონა ფორაქიშვილი — მოვონება	61

სარედაცვიო კოლეგია: ასტაცათურაოვი მხმარე, გენაზოილი ღი. ვიტონი (პასუხისმგებელი რედაქტორი), გრიგორიშვილი იოანე, კლიფოვაზილი სერგო, ჯავახიშვილი ლევ, გაგალაძე ლევა, ჩიქოვანი სიმონ. პასუხისმგებელი მდივანი: ნიკოლოზ აზიაზვილი

წრისავას გადაეცა 8/VII-40 წ. ხელმიწინოლია. დასპეციალური 25/VII-40 წ. ქალ. ზომა 72 X 108. ეურნ. ზომა 7 X 11½. ფონგ. რაცი. 4. შეკვ. № 1148. მთავლიტის რწმუნებულის № ა. 2460. ციფ. 4000.

სახელვამის პოლიგრაფული კომპინატი, კონკრეტული № 5.



مکتب

მხატვრული ლიტერატურა

ვალებიან გაფრიდავილი

ეკაკის ვარღები სხვიზოგამი

მის ნივთებიდან ბევრი რამ დარჩა,
დოქი, ლავშინის ძველი წუმაწუმა...
ვუცქერი საბნის ოველისფერ ფარჩა,
ვათვალიერებ მის წიგნებს ჩუმაღ.

და მიბნეული კედლის შპალერზე
კვლავ სათამაშო სჩანან კარტები,
იხედებიან პირველ ალერსით
მგონის ბალიდან ლალის ვარდები.

დალვრილ ყვავილთა წითელი ფერით
წალკოტი ესხმის აივანს თავზე,
თითქოს დამთვრალი ბულბულის სტენით
და ათას ერთი სურნელით საესე.

მუდამ ხარობდეს სხვიტორის ბალი
და უგზავნიდეს მთაწმინდას სალამს,
საღ განსვენებს პოეტი ლალი,
ძილშიც რომ ყტრფის საკუთარ კალამს!

ილიას გვერდით აკაკის ძინაქს,
ვულში იხურებს მათ ერთი კერა,
ერთ განუწყვეტელ ნაღიმად ბრწყინავს
ვარდებისა და ვარსკვლავთ სიმღერა!

ეკაკის მოშენებიდან

თქმულება ციხის პგნაზე

მოდით, წარსულიც ავაკიაფოთ, წუთით თქვენც ენდეთ ლექსებს ჩემსავით-ერთი ზღაპარი მინდა გიამბოთ — აკაკის დარჩა გაულექსვი.

...ქრთხელ, მოსეულ პტირის დასხვედრად ციხის აგება იწყეს ჩვენება.

მაგრამ ქვის კედლებს ქარი ანგრევდა და არ დასრულდა თურმე შენება-განრისხდა მეფე, ხალხიც გლოვობდა, ყველა შიშმა და დარღმა დასეტყვა, მაგრამ მოხუცი ვინმე მოვიდა, გაპხედა ქვებს! და თურმე ასე თქვა:

— „მეფევ, ეს ციხე არ აშენდება, ამაღდ სტანჯავ ოსტატებს ფიქრით,

ქვა-ქვაზე ისე არ გაჩერდება თუ ვინმე ჭაბუქს არ ჩასდებთ შიგნით“,

შეშფოთდა, მაგრამ მტრების მოსეულამდის ხალხში აფრინა მეფემ ბრძანება:

— მოვიდეს ჩემთან, სამშობლოსათვის ვისაც სიცოცხლე არ ენანება!“...

...და დადგა დილაც — ღიშილისმფენი, მზემ იალბუზი ნათლით შებურა, გაპხედა გზას და რას ხედავს ბრძენი — ჭაბუქთა ჯარით ამოვსებულა.

ყველა იმეტებს სიცოცხლეს ლხენით, მეფე არჩევით დაოსებულა,

წინ წარსდგა მაშინ თურმე ის ბრძენი და ასე ბრძანა გაოცებულმა:

— „ციხეს რად უნდა რეინის კარები, როცა რკინაა ვაჟკაცი ყველა.

ამ გმირთა პატრიონს ციხე არ გინდა, თქვენ ეს ადრევე გამცნო ზეცამაც, ციხის აგებას სჯობს თვით წახვიდეთ მტრის ციხების დასალეწავალ“...

...და ამ იმედით მუდამ, აქამდე — ჩემი ზღაპარი ასე თავდება —

მტრობის ყოველგვარ ზღუდეს ლაბავდა ხალხის სიმტკიცე და თავდადება!

ღილა „მოდი-ნახესთან“

მე მისი ნახვა სად შემიძლია?

კლდეზე შენსავით მკრთალი ნისლია,

შორო სახეო.

წავა ეს ნისლი და „მოდი-ნახეც“

დამიქნევს ხელებს და დამიძახებს:

„მოდი, მნახეო!“

ნანგრევი იგი, როგორც ქაჯეთი,

დგას და კორდს იქით შენი ბაჯითი

ისევ ისეა.

მეც იქ გამწევლა სხვა ღრმოს ნაბრჯი,
რომ ეთქვათ, — ის კი პატარა ბიჭი
თითონ სიძეა.

კაუი მსგავს ციხეს, ნისლიოთშეფერჭალს,
ათასს დაზერევს თავის სვე-ბედის
გამოსაჭედად,

მე კი შენ მინდა სხვაგვირ ხმალის—
წინ გული მოდგას, გული ქალისა,
ურყევ ქაჯეთად!

კვართული კეკის გორება

„დავიარე ყველა ოჯახი, სადაც აყავა თავს იღა-
რავდა, შაგრამ ვერსად ვნახდ. ბოლოს სასტუმრო
„გრანდპირელში“ მივაკვლიე, ჰუშეინის ქუჩაზე.
ლეკემბერში ტანგაუხდელი იწვა ციც ოთახში, აფად-
მყოფა. რამდენიმე დღის შემდეგ ის საჩხერეში გარ-
დაიცვალა“.

ი. ი. ს ე ლ ი ა ნ ბ ს მოგომებიდან
აკაცის უკანასკნელი წლები“.

— დავსნეულდი და ლოგინში ვწევარ,
მახრიხბს ნესტიან ოთახის ბური.
ას ძალმიძს, ძმებო, ლექსების წერა
და ასც ხუმრობა დღეს ძველებური.

ნუთუ ამიტომ დამტოვეთ ობლად
სამარის კართან მისული მგზავრი?
ნუთუ სწეული მვოსნის მახლობლად
ალერსს დღეს არვით გამოაგზავნით?

სადა ხართ, სადა? ხმა გამავონეთ,
დავარდნილ მოხუცს გართობა მიწრა,
რას მერჩით, ძმებო, რაც შთამავონეთ,
მე დაგიმრუნეთ, გიმლერეთ წმინდად.

უჭირისუფლოს მფარველი უნდა,
მარტო კარ, მარტო, ობლადშთენილი,
რისთვის მქრაობით ყვავილთა გუნდას,
თუ გულით ვიყავ თქვენგან დევნილი.

თქვენ მაინც სად ხართ, ჩემო მგლსნებო,
ახალგაზრდებო, სადა ხართ ახლა?
მოღით, მოგროვდით, მომეალერსეთ,
იძლერეთ ერთად გაძარულ ბალთან.

მიძღვნეთ ერთხმად, ჩემო შვილებო,
თქვენი მფარველი მამა გშორდებათ.
ჩემი ლიძილი თქვენთან, თქვენ შორის
ვფიქრობ, რომ აღა განმეორდება:

მე თქვენს ღუღუნში მწყურია მოვკვდე,
გელით, მომართეთ ტკბილი ფანდური.
მოხუცს ფერმკრთალ გულს ნუ დამიკებთ,
მაპყურეთ ხმები ახალგაზრდული.

შენ სად ხარ, ვაჟავ, მთათა მფულობელო?
შენი მკილავი მგოსანი კვდება.
აკაპტე ჩემო წუთისოფელო,
უაშეს სიკვდილისას — მოხუცი დრკება.

მომწყურდა ხმები: მთური, ფშაური,
ამართე ყელი და მოილერე,
დავმარხოთ ძველი დანაშაული,
ვთხოვ დავრდომილი, მოდი, მიძღვნე!

გყინვარები

აკაპის

მეგულებოდა აქ შენი კვნესა,
შენი ცრემლები, ოხვრით ნაღვარი.
ამ მყინვარებსაც ცივ მყინვარებსაც
სიობო ჰქონიათ შენი ჭალარის.

თითქოს სამშობლოს წარსულის ციდან
ათასი წლები ჩამოზეინულან,
ბევრი სუსტი და წარი უზიდავთ,
გაქვავებულან შემდეგ ყანულად.

და ტფილისიდან ეს მყინვარები
მეჩვენებოდნენ ცივი ყოველთვის,
ვნახე და შემხვდნენ მზის ელვარებით
და ჰთაგონებით დასწვეს პოეტი.

შეგულებოდა აქ შენი კვნესა,
შენი ცრემლები ოხვრით ნაღვარი,
ამ მყინვარებსაც ცივ მყინვარებსაც
სიობო ჰქონიათ შენი ჭალარის.

უ კ ვ ლ ე კ ი ბ ა

ჩშირად გამანდობს იღუმალ ზრახვებს
ხმა-შორეული სჯა და მისნობა,
აღსდგება მკვდრეოთოთ მცოსანის სახე —
შემორჩენილი მარატისობას.
დღესაც აკაკის სიმრჩეებ — რჩეულმა,
გულზე დამანთო ცისკრის კანდელი,
რერძნო მარადი სუნთქვა სხეულმა,
ფრანთ სიცოცხლე და ურუანტელი
ვინ უკის რამდენ პოეტის განცდა
ვერ შეხვერდია ხსნას და შენდობას,
უკვნესებით, დიდების ნაცვლაჭ —
რროთა სტიქის და უბედობას.
მაგრამ დიდების მმებს და ძმობილვბს
ინახავს ხალხი, დრო და განვება
და პოეზიის ცატლით წროობილებს
გული აროდეს აზ ეკანგებათ...
ახლა, როდესაც წარსულს უივონებ, —
მწყურია უკვდავ მცოსნის დიდება,
შევხარი ობლად ჩინილ სტრიქონებს
და სიხარული მიყვავილდება.
სტანჭა პოეტი მძიმე ფიქრებმა,
აქაც მოვიდა ეკლის მოთეულით.
მზის მომლერალი მუზამ იქნება
ლალი, უკვდავი ჭა უშეფოთელი.

ექაკის ნარწერა ბარაკონის კედელზე

ვერ ვნახუ მე მაშინ დიადი ქართველი,
„ნანა“ რომ უმღერეს რომნის ტალღებმა,
მგოსანი უძილო და ლამე ნათევი,
ირგვლივ რომ ანთებდა კოცონს და ნაღვერდალს.
გავყვები შარა-გზას, შებინდულ ბუჩქებთან
ჩიმოშლილ კლდეების ხრიალს რომ გასცერის,
ზღვასავით სიხარულს სხვა ვინ აჩუქებდა
ამ ხეებს, რომ დამდგარან ქედების დამცველნი?
აქ გამოუვლია ვალია პოეტსაც,
თურმე ცას სწვდებოდა ზრიალი თოფების,
რიონიც არ ჰქონდა, სიშვიდეს მოეცა,
ზაფხული ჩამდგარიყო ხალისის მომფენი.
სტუმარს მიესალმა დიდი ბარაკონი,
მან კი ლექსი უძლენა ტურფად ჩამოქნილი,
დიდხანს მათიქრებდა სოფელთან ჩამოულილს
მართალი ამბავი, საღლაც განაგონი.
მე ისიც ვერ ვნახე და თითქოს მრცხვენია,
აქამდე ვერ შემოვხედი დიდებულ ოცნებას,
ვიცა, ეს სიტყვები მარადეამს ჩვენია,
ბევრი ამღერა ნუგეშის მომცუმმა.
და დღეს ერთი დამრჩი მხოლოდ დაპირება:
რომ გაიზაფხულებენ ამიყი ვერხვები,
მეც თქვენთან შევაღებ დარბაზს და პირველაზ
გაურეცილ ქვის ჭედელს კოცნით მივემთხვევი.

აკაკის გამოუქვეყნებელი ლექსები

ალბორზი

მარი ტურას — მასილიონს 々¹⁾

ნეტავ იმას,
ვანც შენ ტკბილ ხმას
სანუგეშოდ ისმენს მარად,
ნეტავ იმას,
შეღნიერ ყმას
გისაც ირჩევ შენდა ქმარად!
ცით მოსულო,
ქვეყნად სრულო,
გმონებს გრძნობა და ვონება
და პოეტის
შენი მჭვრეტის
ზეგარდო-შთაგონება.

ვაიტავის 々²⁾

მადლით ციურით
ამა ქვეყნად
იყო შემკული!
კეთილ-მძრახველი
ობოლთ მზრდელი
მნათობი გული!
ერთგული ქვეყნის
ლმობიერი
იმედ მომფენი,
ქრისტეს მმოსავი
ოცნება რამ
ვარსკვლავებრ მშვენი!!
იყო და ან კი
საღლა არი?
გაქრა ვით ალი,
დაგვაგდო ობლად,
უნუგეშოდ,
მისთვის მტირალი.

¹⁾ საქ. სახ. მეტეუმის ხელნაწერების განყოფ. დაცული საისტ. საეთო. საზოგადოების ფონდის ხელნაწერში № 1471, აფტ. 9.

²⁾ ეს ფრასტატიდა მიძღვნილია მიუკო მელიქოვისადმი, ხელნაწ. № 1488. აფტ. 15.

კომართისის ალბომი¹⁾

სიყვარულის ნაშობია
მუზიკა და პოეზია,
ცხოვრებაში ორივ ერთად
გაუყრელად მთვარე მჩეა!...
შე ორივე სწორად მიყვარს,
ღლისით მჩე და ლამით მოვარე!
მაშ მოდი და შევხმატებილდეთ:
მომეხმარე... მომეხმარე!

პამილის ლექსი „შამილის სიზმარი“

„შამილის სიზმარი“ აკაკის სტუდენტობის პერიოდის ლექსთა ციკლს ეკუთვნის. მისი სრული ტექსტი მოთავსებულია ქუთაისის მუზეუმში დაცულ იარილე ლორთქიფანიძის მიერ შედგენილ ქართველი პოეტების ლექსებისა და პოემების ხელნაწერ კრებულში. ამ კრებულში აკაკის ნაწერებიღიან შეტანილია 1859-62 წლებში „ცისკარში“ დაბეჭდილი ლექსები, პოემა „რუსთუმე“ და აგრეთვე ამავე პერიოდში რამდენიმე ლაუბეჭდავი ლექსიც. უკანასკნელთა შორის ყველაზე აღრე დაწერილია „შამილის სიზმარი“, რომელსაც კრებულის შემდგენელი შემდეგ შენიშვნას ურთია:

„ეს ლექსი დაწერე თვითონ მისის (აკაკის) სირკვებით 1862 წ. თებერ. ამაში ზოგი შეცვლილია და ზოგი გამოტოვებული ორიგინალიდამ, რომელიც დაიწერა 1859 წ. შოვიყენთ განსხვავებულს ადგილებს და გამოტოვებულებს“.¹⁾

ამჩინად, როგორც ეს შენიშვნა მიუთითებს, „შამილის სიზმარი“ დაწერილია 1859 წელს. მომდევნო წლებში პოეტი იგი გადაუკეთებია. ხოლო ეს ახალი ვარიანტი, ჩაწერილი 1862 წლის თებერვალში, კ. ლორთქიფანიძეს შეუტანია თავის კრებულში, პირველი (1859 წლის) ვარიანტის შეცვლილი და გამოტოვებული ადგილების სხოლიაში აღნიშვნით.

საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებაში დაცულია ამ ლექსის ავტოგრაფიც, რომელსაც აქვთ ერთი უურცელი შემცველ უკანასკნელი სამი სტრიფის. იგი, როგორც კ. ლორთქიფანიძის კრებულის ვარიანტებთან შედარებით ირკვევა, უფრო გვიანდელი ვარიანტია.

„შამილის სიზმარი“ ისტორიისთვის საყურადღეო ცნობა მოუმტლი სხვამხრივ შეტაც სანდრეულო, აკაკის (1860 წლის) 25 აპრილს, პეტერბურგიდან დადგინდები მიწერილ ბარათში.

„მე და კერძესლიძე,“²⁾ — სწერს პოეტი ამ დოკუმენტში, — როგორლაც ვიჩ მოვწყვეთ, ლექსები წამიხდინა, თავისებურად გადაუკო და შარშან სექტემბერს აქვთ ალარაფერს აღარ უვაგზავნი. ესნი, რაც ახლა იძექდება სულ შარშანდელებით. „საოლომლო ბარათი“ დაწერე, თქვენი შემშენდა და სინაცულის ლოცვაც თან მოგაყოლე — ეხლა, რომ დაიბეჭდა მარტის „ცისკარში“³⁾ სექტემბერს აქვთ ალარაფერი ვაგზავნია და ალარც გავუგზავნი აწი. ორი ლექსი კი გამომტევა ეხლაც, ძალან საუცხოვო იყო „მოხუცის ტირილი“ და მეორე „შამილის სიზმარი“. არ ვიცი რად არ დაბეჭდა. მგრძა შეეშინდა, როცა თავისუფლად იყო დაწერილი, ამ ახლანდელი „ამამ ძებნის“ არ იყოს ასრილში რომ დაიბეჭდა“.⁴⁾

ეს ლექსები არც შემდეგ დაბეჭდილა „ცისკარში“. სასა ისინი პოეტის მიერ შენიშვნულთა ვის უფლად დაწერილი შეცვლებინი გახდნენ. კერძოთ „შამილის სიზმარი“ ასეთი შეცვლის სრულად ბუნებრივი იყო, რადგან, როგორც ცნობილია, „ტრდა დემოკრატი“ შამილი, რომელმაც ბრძოლების მთელი ეპოქა შეემნა რესესოს დაპყრიბითი პოლიტიკის წინააღმდეგ, უარისესად უარყოფით პოლიტიკურ ფიგურის წარმოადგენდა მმართველი არის სტოკჰოლმისათ-

¹⁾ იბ. დასახელებული კრებული, გვ. 138.

²⁾ ლაპარაკის „ცისკარის“ რედაქტორი ი. კერძესლიძეზე.

³⁾ იგულისხმება ლექსი „ლოდილის სინაცული“, რომელიც „ცისკარის“ 1866 წლის მიზანის ნოტებში დაიბეჭდა.

⁴⁾ წერილი დაცულია ქუთაისის მუზეუმში.

ვის, მით უმეტეს საშენაშვრო ლექსის დაწერის პერიოდში, ორდესაც იგი ახალი დამარცხებული იყო. (1859 წლის 7 სექტემბერს). ასეთ პირობებში, რასაც თან ერთობიდა ცენზურის სისატრიყ და „უკასერის“ ჩედავტორის ა. კერესელიძის საერთოდ თავდაჭერალი დამოკადებულება „საშიშ მასალებისადმი“; შამილის შესახებ თავისუფლად დაწერილი ლექსი, აღზნებული შამილისადმი სიმპატიითა და გარკვეული შებრძოლი ნაციონალური განცდებით, — ცხადია, ვერ დაიხეკდებოდა. ეს ლექსი, ჩვენთვის ხელმისაწვდომ მასალების მოხელეობით, არც შემდეგ გამოქვეყნებულა. მის უკანასკნელ ბეჭდს აღბათ მისი მხატვრული სისუსტეც ედგა საფუძვლად.

აյ ამ, ძირითადად მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით საინტერესო პოეტურ დოკუმენტს, მეორე ვარიანტის—კ. ლორთქიფანიძის კრებულის ძირითადი (1862 წლის თებერვალში ჩაწერილი) ტრაქტის სახით ვაკვეყნებთ.

*
* *

შუალმეა. გავსილი მთვარე
ხშირხშირად სხიგას ხმელეთს უხვად ჰყენს,
მთანი, თუ კლდენი ველი მიინარე,
ყველა მდუმარებს და გრძნობით ისმენს:
ვთ განსვენების ანგელოსნი ციო
გადმოეფინენ გუნდათ ხმელეთათ
თვისის ნეტარის და მსუბუქ ფრთებით
და მყუდროებას გალობენ ერთ ხმათ.
მაგრამ კავასსა ეს შუალმება
ციო მოვლენილი არა ეკუთვნის;
პისთვის ერთია ყოვლი დროება,
დღეც და ლამეცა სხვის რამეს ეწვრთნის.
კავასს სურს სისხლი, ომი ფიცხელი,
მისთვის სახეთო ხმას ტყვილად გალობენ
სისხლს ითხოვს მთანი, კლდენი და ველი,
და მდინარენიც მას ლრიალებენ.
მხეცათ ყვირილი, ფრინველთ ჩხავილი
ქართა ქრისლი, ზღვათა გრიალი
ამას ნიშნავენ „გვწყვრიან სისხლი“
და თერგისაცა ეს არს ლრიალი.
მათის სურვილის აღმსრულებელი,
მწუხარის სახით დაფიქრებული
ველს სლგას მაშმალის მაღიდებელი
და შურიდნი ჰყავს მას შეკრეფილი.
ყურადღებით (3) იმამს უსმენენ,
სისხლიან თვალებს ატრიალებენ,
ხან გამხეცებით თვისით ხელთ იყბენენ.
და ვით სნეულნი ხან კანკალებენ.
ამბობს (3) იმამი: „მართლ მორწმუნენო
ჩვენი გაკიცეა მაქმალს არა სურს.
კვალად გამხხვდით ერთგულნო ძენი
და თავს ნუ მისყვმო მონათ გასურს
ჭომ გასსოფთ ჩემი დარღვეშიდ ომი,
სხვადასხვა რიგი ბევრები მრავალნი,
მე ამ გვევაროთ ურუ მოწმის ნდომი —
მოწმედ შეყოფა მიწა და ქანია.

¹⁾ მეორე დაწმი მოხუცის ტახილი სამწუხარიდ ანც ხელნაწერის სახით შემონახულია.

12 794

აწ დავუძლურდი, დავბერდი ალლაპ!
 მაჰმალო, ვატყობ ძალი მაკლდება.
 მაგრამ დღეს ჩემი ძალა ახლდება
 დამცენარ ძარლვებშიც სისხლი დუღდება
 მართლ-მორწმუნებო! კარგად ისმინეთ,
 უკანასკნელად მსურს ვცადო ბედი,
 სიკვდილი ან ხსნა კაზი-მაღლმეტ!
 მცნედა დამრჩა შვილო იმედი.

შენ მიშურე მარცხენა მხარეს,
 სადაც განაგებს თვითონ კნაზი!
 მაჰმალის ძალით მიეც სიმწარეს —
 მაშინ თაყვანს ვცემს მოელი კავკაზი-
 და სიბერის დროს ამ შიშველის ხმლით
 მარჯვენა მხარეს მე მივიჭრები;
 დღეს უნდა გავდღე მე რუსის სისხლით
 მთ მჩქეფარ სისხლა მიეყურებები.
 გახურდა ომი, ომი ფიცხელი,
 საზარელი და ცუდ სანაბავი,
 სისხლში დასვარება, ლეკებთა ხელი,
 ცელს ეფანება ჩუსტის თავი.
 ომი გათავდა, მან კშაყოფილმა
 ზეცას შესწირა თვისი ნამზი
 მარცხენა მხრიდან იმისმა შვილმა
 რყვეთ მიუყვანა თვითონ კნაზი.
 მან ძვირფასი ტყვე წარჩინებული
 ის წინ მოსული რა დაინახა,
 მსწრაფლ აუღელდა მრისხანე გულა-
 „თუ მოსურით“ ჯარს მიაძახა.
 მაგრამ წვერებშიც სტაცა მსა ხელი,
 ყბაშიც გაარტყა (ჸ)იმისა სილა...
 ვაი საწყალი ჩვენი მძლეველი
 როდესაც თვალი გამოიახილა.

კალუგა რამ ქნა კავკასის მთებში,
 ოლარც ჩხუბია და ოლარც მკვდრები
 და იმათ ნაცვლად მხოლოდ ქაჩებშა.
 არისინებენ დროშებს კუჩრები.
 კულადვე მიწვა თვალთ ხელთ იფარებს,
 სურს რომ იხილოს იგივ სიზმარი;
 მაგრამ სიზმარშიც ცერ განიხარებს,
 თრგზის ვინც ცხადად უბედურ არი.



ტ რ ი ტ ი პ ა

ვლაშიშენ ზამბაზიძე

აკაკი ნოსტლის ლიტერატურულ-ესთი- ზიქური კონცეფციისათვის

გასული საუკუნის სამოციანი წლების რუსულ ლიტერატურულ წრეებში დაიწყო ცხარე კამათი ხელოვნების საკითხებზე. ხელოვნებისა და ლიტერატურის ლიბერალურ-აზნაურულ თვალსაზრისს სამკვდრო-სასიცოცხლობლოდ დაუბირისპირდა და შეებრძოლა რევოლუციურ-დემოკრატიული შეხედულება, რომელიც „ორი რუსი ლესინგის“ — დიდი ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის ხელმძღვანელობით ბრწყინვალე დასაბუთებას პოულობდა ეურნალ „სოფრინიკის“ ფურცლებზე მოთავსებულ მებრძოლ სტატიებში.

რა შეადგენდა ამ ორი ლიტერატურულ-ესთეტიკური კონცეფციის ბრძოლის საგანს? რაში უპირისპირდებოდნენ ისინი ერთიმეორებს? აი კითხვები, რომელთა მოკლე, სერმატური წინასწარი გარკვევა აუცილებელია იმისათვის, რომ ჩვენთვის უფრო ნათელი გახდეს აკაკი წერეთლისა და რუს სამოციანელთა ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებს შორის არსებული გენერიური კავშირი.

„ლიტერატური“ „წმინდა ხელოვნების“ ქურუმობას ჩემობდნენ და ამდენად თავის შეხედულებათა დასაყრდენს პოულობდნენ ჰეგელის ესთეტიკაში, რომელიც უმღლეს კეშმარიტებად, ადამიანისაგან, ცხოვრებისაგან მოწყვეტილ მშვენიერების იდეას აღიარებდა:

ჰეგელისა და შის მიმდევართა აზრით, მშვენიერება წარმოადგენდა ცალკეულ საგანში მთელი სისავსით გამოვლინებულ აბსოლუტურ იდეას. ამ თეზისითან ლოგიკურად გამომდინარეობდა დასკვნა, რომ თითქოს, ობიექტურ სინამდვილეში მშვენიერება არ არსებოდდეს და ხელოვნების ამოცანას შეადგენდეს, ოსტატის შემოქმედებითი ფანტაზიის დახმარებით შეავსოს ბუნების ენაკლი.

სინამდვილუზე, ცხოვრებაზე ხელოვნების გაბატონება — ასეთი იყო ამ მიმართულების ლოზუნები, რომელსაც ფონერბახის მატერიალისტური ფილოსოფიის ნიადაგზე მდგარმა ჩერნიშევსკიმ და დობროლუბოვმა დაუბირისპირებს ლოზუნები — სინამდვილის, ცხოვრების პრიმატის შესახებ ხელოვნების მიმართ.

ახალმა ესთეტიკურმა კონცეფციამ უაღრესად ლაკონური და მშერმეტ-ჭვერი გამოხატულება პოვა ჩერნიშევსკის ფორმულაში — „მშვენიერი არის ცხოვრება“, მას სიტყვებში, რომ მშვენიერად უჩვენება ადამიანს ის აჩსება,

რომელშიაც ცხოვრებას ხედავს იმგვარად, როგორც ეს მას ესმის; მშვენიერია ის საგანი, რომელიც მას მოაგონებს ცხოვრებას“¹⁾.

მაგრამ, არც ჩერნიშევსკი და არც წომბროლუბოვი არასოდეს იმ შეხედულებისა არ ყოფილან, რომ თითქოს ხელოვნების საგანს მარტო მშვენიერების პრობლემა შეადგენდეს. პირიქით, ისინი ხელოვნების საგნად სთვლილნენ ყველაფერს, რაც ცოცხალი აღამიანის ინტერესების სფეროში შედის. „ხელოვნების სფერო,—ამბობს ჩერნიშევსკი, — არ განისაზღვრება მარტო მშვენიერებით, არამედ მოიცავს ყველაფერს, რაც სინამდვილეში (ბუნებასა და ცხოვრებაში) აინტერესებს აღამიანს... საზოგადოდ საინტერესო ცხოვრებაში — აი ხელოვნების შინაარსი“²⁾.

ამ ლიტერატურულ-ესთეტიკური პრინციპიდან კანონზოგად გამომდინარეობდა ლოზუნგი. მწერლობის სამსახურებრივი როლის შესახებ საზოგადოებაში.

„ცხოვრების წარმოშმანა (ВОСПРОИЗВЕДЕНИЕ), — წერდა ჩერნიშევსკი, — ხელოვნების საერთო დამახასიათებელი ნიშანია და მის არს შეადგენს; ხშირად ხელოვნების ნაწარმოებთ სხვა მნიშვნელობაც აქვთ, — ისინი ცხოვრების ახსნის საშუალებას წარმოადგენენ; მათ ხშირად ცხოვრების მოვლენებზე განაჩენის გამოტანის მნიშვნელობაც აქვთ“³⁾.

ეს თეზისი გენიალური სიღრმითა და უბრალოებით სჭრიდა საყითხს ლიტერატურის, ხელოვნების შემობრუნების შესახებ თანამედროვეობის საჭირბოროტო, აქტუალური საკითხებისაკენ. მასში თავის დასრულებულ გამოხატულებას პოულობრა ლიტერატურული Credo სამოციანი წლების რევოლუციური დემოკრატებისა, რომლებიც სიტყვა-კაზმული მწერლობისაგან მოითხოვდნენ მაღალ იდეურობას და პოლიტიკურ სიმახვილეს, მოითხოვდნენ შის მიერ სინამდვილის მაღალმხატვრულ ფორმებში ასახვას არა პასიურად, არამედ იმუგარად, რომ ბოლომდე მხილებული და მსჯავრდებული ყოფილიყო მაშინდელი გაბატონებული სოციალ-პოლიტიკური სინამდვილე, მისი მანიჯი და საძაგელი სულით.

ამით, რუსი სამოციანელნი, ჩერნიშევსკისა და წომბროლუბოვის მეთაურობით გამოდიოდნენ აპოლოგეტებად ე. წ. უარყოფითი მიმართულებისა, რომლის სახელმძღვანელო პრინციპს არსებულის წინააღმდეგ თავდაუზოგავიბრძოლა და ეპოქის მოწინავე აზრების პროპაგანდის საშუალებით ფართო შასის რევოლუციური განათლება წარმოადგენდა.

ამ ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხელულებათა გარემოცვაში ყალიბდებოდა აკაკი წერეთლის ლიტერატურულ-ესთეტიკური სოფლმხედველობა.

• •

ქართული შემუარული პროზის შედევრის — „ჩემი თავგადასავლის“ მეორე ნაწილში აკაკი წერეთელი გვიამბობს: „სწორედ იმ დროს (60-იან წლებში — ვ. ზ.) გამოვიდა სარატოველი სემინარიელი ჩერნიშევსკი, ჩაუდგა სა-

¹⁾ ჩერნიშევსკი. „რჩეული ფილოსოფუ. თხზულებაზე“. გვ. 376.

²⁾ იმედვი — გვ. 379.

³⁾ იმედვი — გვ. 376.

თავეში უურნალ „სოვერემენიქს“ და ღობროლუბოვთან, ანტონოვიტან, ნეკ-
რასოვთან და სხვებთან ერთად დასცა რუსეთს კიუინა. ამოძრავდა რუსეთი...
და მაშინ გაჩნდა, ტურგენევისაგან აღნიშნული ნიღილისტობაც“.

„...როდესაც ნიჭიერი პისარევი და მყვირალა ზაფევი დაუდგენ თავში-
ხელოვნების უარმყოფელებს, მთელი მყითხველი რუსეთი შეიძრა და მაშინ
წარმოითქვა შესანიშნავი სისულელეც: „შექსპირს, ანტონოვიტან ჩექმები
სჯობიან“ და იმავე დროსცე, რასაკვირველია, სცდილობრნენ. პუშკინის დე-
დამიწასთან გასწორებას!

„...რუსობანობამაც მისის ნიღილისტობით, — განაგრძობს აკაკი, — მაშინ
ძალიან მოიკიდა ჩევნში ფეხი. სტუდენტების რიცხვში მეც ვიყავი. ჩემ ხან-
გრძლივ ცხოვრებაში საპირადო კერძოსა და წვრილმანებში უხსიათობა გა-
მოვიჩინე, მაგრამ დიდისა და საზოგადოსათვის კი ჩემს დღეში არ მიღალატე-
ბია. მწერლობაშიაც შემეძლო, რომ სხვების აყოლით დიდი სახელი მომეპოე-
ბია, მაგრამ ჩემს რწმუნებას ვერ ვუღალატე და ტოლსტოისა¹⁾ არ იყოს, შუა-
დღილი მეჭირა... სხვებსავით წამხედურობით უმეტესობის მიმღევარი არ
ვყოფილვარ. ზაიცევს არად ვაგდებდი, ნიჭიერ პისარევს თუმცა ვაფასებდი,
მაგრამ მისი ბეჭრი რამ არ მომწოდა და არც ის მეჯერა მეორე პარტიისა,
რომ მწერლობაში მხოლოდ მუსიკა, და კეთილგმოვანება უნდა იყოს და კმა-
რაო თართა შუა მყოფს, მე ჩემი გზა მქონდა აქჩეული და მივდიოდი წყნა-
რად“.

ამ გრძელი ციტატიდან ნათლად სჩანს, რომ აკაკი თავიდანვე შეურიგე-
ბელი მოწინააღმდეგე იყო ესთეტიკური ნიჭილიზმისა, რომლის მამამთავარმა.
პისარევმა ვერ შესძლო ემპირიული სუბიექტის პირადი გემოვნების მრავალ-
ფეროვანების შორიგება მშენიერების ცნებასთან და ამის გამო, ლოგიკურად
მივიღა საერთოდ ესთეტიკის უარყოფამდე.

ადეილი გასაგებია, რომ აკაკიმოქალაქე და პოეტი ვერ შეურიგდებოდა
ესთეტიზმის სულით გაუღენთილ „წმინდა ხელოვნების“ თეორიასაც.

ამიტომ ირჩია მან „ორთაშუა“ ყოფნა და მტკიცედ დაადგა ცალმხრივი
უფლურესობისაგან თავისუფალ ლიტერატურულ-ესთეტიკურ თვალსაზრისს,
რომელიც იდეურ ნათესაობაში იმყოფება რუს სამოკუანელთა—ჩერნიშევსკისა
და ღობროლუბოვის ფოიერბახული ესთეტიკის საფუძლებთან.

* * *

ჩერნიშევსკი ამბობდა: „...ლიტერატურას თავისი ბუნებით არ შეუძლია
არ იყოს თვეისი დროის მისწრაფებათა მსხური, არ შეუძლია არ იყოს მი-
სი იდეების გამომხატველი. ბრწყინვალე განვითარებას მხოლოდ ის ლიტე-
რატურული მიმართულებანი აღწევენ, რომლებიც ცოცხალი და ძლიერი იდე-
ების ზეგავლენით აღმოცენდებიან და ეპოქის დაენებითი მოთხოვნას აქმაყო-
ფილებენ. თვითეულ საუკუნეს თავისი ისტორიული საქმე, თავისი განსაკუთ-
რებული მისწრაფებანი აქვს“.

ჩერნიშევსკისა და ღობროლუბოვის გაებით, ნამდვილი მხატვარი ყოვე-
ლდღურ სინამდვილეს, მის აქა და კარგს კი არ გაურბის, არამედ ბოლომდე-

¹⁾ იგულისმება პოეტი ა დ ტოლსტოი.

ეტმება მის საშსახურში, რადგან სამოციანელთა აზრით, ჟელოვნებას, ლიტე-რატურას ფანა და ლირებულებას სწორედ ეს სამსახურები ვიფუნქ-ცია ანიჭებს.

აკაკი წერეთელი ამ საკითხში მთლიანად რუს რევოლუციურ-დემოკრატ-თა პოზიციებზე იდგა და ამაყად აცხადებდა: „მე მიმაჩნდა მწერლობა, რო-ჯორც ერთი უბრალო იარაღთაგანი დღიურ ავ-კარგიანობის საბრძოლველ-სამსახუროდან“.

ეს სიტყვები შეიცავენ ლიტერატურის სოციალური ფუნქციისათვის ხა-ზის გასმას, ამ ფუნქციის უდიდეს პრინციპულ სიმაღლეზე ყვანას.

აკაკი წერეთელმა კარგად იცოდა, რომ მაშინდელი პოლიტიკური და ქრონიკული უუფლებობის პირობებში, აქტუალურ და მაღელვებელ საზოგა-გადოებრივ პრობლემათა გადაჭრა მხატვრულ ლიტერატურას უნდა ეკისრნა. რადგან გამათავისუფლებელი იდეების ერთ-ერთ მეღროშედ ხალხის საუკეთე-სო, მოწინავე ნაწილი სწორედ მწერლობას სთვლიდა.

მწერლობისათვის თანამედროვეობის აქტუალური იდეების პროპაგანდის დაკისრება, ცხადია, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავდა პოეზიის თავისუფ-ლების უარყოფას, რადგან ეს თავისუფლება სამოციანელთა აზრით იმაში მდგომარეობს, რომ შემოქმედმა სწერის იმ წაკითხებზე, რომლებისკენაც მას გული მიუწევს.

„უეტი არ იქნებოდა თავისუფალი, — ამბობდა ჩერნიშევსკი, — მას რომ სოციალურ საკითხებზე ეწერა... გოგოლი სრულად თავისუფალი იყო, რო-დესაც „რევიზორს“ სწერდა... ყველას თავისი საკუთარი თავისუფლება აქვს“.

აკაკის პოეზიის თავისუფლება. ნაციონალურ-რევოლუციური სოფლმხე-დველობის პროპაგანდაში, ამ სოფლმხედველობიდან გამომდინარე პარატიკუ-ლი მიზნების განხორციელებისათვის ხელშეწყობაში მდგომარეობდა.

მწერლობის საშსახურებრივი ფუნქცია, მისი საზოგადოებრივ-უტილიტა-რული დანიშნულება აკაკი წერეთელმა მისთვის ჩვეული რაინდული პირდაპი-რობით და მკვეთრად გამოაქანდა შემდევ სტრიფში:

„რა კა არ არგებს ქვეყანას,
ის ყველა ფუჭი ბარგას...
სულ ბულბულობაც არ ვარგა,
ზოგჯერ ყორნობაც კარგია.“

ეს ტრიოფი მკითხველს უნებლიერ მოაგონებს დობროლუბოვის სიტყვებს იმის შესახებ, რომ პოეტი, რომელიც თავის ნიჭის მხოლოდ ნაკადულის ჩე-ჩეხისა და ბულბულის სტვენის აღწერას ანდომებს, ვერ შეედრება იმ შე-მოქმედს, რომელიც მთელ თავის მხატვრულ ძალას თანამედროვეობის მწვავე საზოგადოებრივი საკითხების გადასაჭრელად ხმარობს.

შესაბამისად ხელოვნების, ლიტერატურის ამ ფილოსოფიის, აკაკი წერე-თლისათვის პოეტი „გარემოების საყვირია“. როგორც ზემოთ ოქნიშენეთ, ჩერ-ნიშევსკის განმარტებით ხელოვნების დამახასიათებელი საერთო ნიშანია „ცხოვრების წარმოქმნა“ და აკაკიც ისე მიმართავს ახალგაზრდა მწერლებს:

„უნ ხარ პოეტი, ცხოვრების სარკა,
ადაც დადას უკუტარებოდა.“

დობროლუბოვი ამბობდა: „მისგან (ლიტერატურისაგან — ვ. ზ.) მოითხოვენ, რომ ის იყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციის არა მარტო ენა, არამედ თვალიცა და ყურიც“-თ (ტ. IV, გვ. 171) და „ცხოვრების საკითხებზე უპასუხებდეს იმით, რასაც თვით ცხოვრებაში პოულობს“. (ტ. I, გვ. 208).

თითქოს ამ მოთხოვნის შესაბამისად აკაკი თავისი „პოეტის“ მეოთხე სტროფში გაიმღერის:

„ენაც მას ამბობს, რაც სმენას
სხვისაგან გაუგონია,
ან თვალს უნახავს და ჰკუას
გაუზომაუწონაა“.

ეს სტრიქონები შეიცვენ „ცხოვრების წარმოქმნის“ თეორიის მაღალპოეტურ ინტერპრეტაციას, მაგრამ არა იმპრესიონისტულს, რომლის თანახმად სინამდვილის ასახვა სუბიექტის აღქმათა, მისი შეგრძნობების პასიურ ფიქსაციას წარმოადგენს, არამედ ჩელიასტურს, როდესაც „სინამდვილის წარმოქმნის“ რთული შემოქმედებითი პროცესის აქტიური მონაწილეა თვით სუბიექტი, მისი ემოციები, პათოსი.

და, განა არსებობს ნამდვილი შემოქმედება გარეშე პათოსისა? არა, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, რაღვან „პათოსი, — როგორც ამბობს ჰეგელი, — ეხება იმ სიმს, რომელიც თავის გამოძახილს პოულობს თვითეული აღამიანის გულში“. ¹⁾

აკაკი წერეთელი და რუსი სამოციანელნი შორს არიან იმ აზრისაგან, რომ თითქოს „ცხოვრების წარმოქმნის“ აქტი სინამდვილის უბრალო ნატურალისტურ ფოტოგრაფირებას წარმოადგენდეს.

ლიტერატურის ჩელიასტური მიმართულების ქართველი და რუსი წარმომადგენლებისათვის მწერალი, პოეტი, არა თუ სიტყვის ოსტატია, არამედ ფილოსოფოსი, სოციოლოგი და პოლიტიკოსიცაა. ამიტომ, მას უნდა შეეძლოს არა მარტო წარსულის და აწყვის დანახვა, არამედ მომავლის განვივრეტაც. ნამდვილ ხელოვანს, პოეტს უნდა შეეძლოს მოვლენის არა მარტო ზედაპირზე ეპიზოდული ცოცვა, არამედ ამ მოვლენის დაფარული იმანენტური თვისებების გამომულავნება და იმის გაგება, თუ საით უნდა წარიმართოს მათ შემდგომი ზრდა და განვითარება.

აკაკი წერეთელი უხვებლა დაჯილდოებული ჩელიასტი მწერლის ყველა ზემოხსენებული თვისებით და აკა თვითონაც ამბობს:

„მე აწმუნში ვგრძნობ იმ მომავლსა
და მით მექნება სიკვდილი ტკბილი“.

მომავლის შეგრძნობისას უძვირფასეს თვისებაში უნდა ვეძიოთ ოპტიმიზმის დაუშრეტელი წყარო, რომელიც ტიტანურის ძალით სჩქეფს აკაკი წერეთლის გარად უკვდავ პოეზიაში.

ცნობილია, რომ ლიტერატურის, ხელოვნების არსია და დანიშნულების რეალისტური ინტერპრეტაცია, რომელიც რუსეთში უშუალოდ დაკავშირებულია ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის, ხოლო ჩვენში აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის სახელებთან, არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს

¹⁾ ქადაგი, ტ. XII, გვ. 237.

ხელოვნების ფანტასტიკურ შინაარსსაც. ამის შესახებ ჩერნიშევსკი სავსებით გარკვეულად სწერდა: „ჩვენი განსაზღვრა (ხელოვნების — ვ. ზ.) მოიცავს ხელოვნების ფანტასტიკურ შინაარსსაც“. (რჩ. ფილ. თხზ. გვ. 371).

აკაკი წერეთლის პოეზიისა და პროზის ერთ-ერთ მთავარ მაცოცხლებელ ძარღვს წარმოადგენს შემოქმედებითი ფანტაზია, რომელიც ჰეგელის თქმით, წმინდა პასიური ძალის წარმოსახვისაგან (ვინაიდენიე) განსხვავებით, ხასიათდება „უბირველეს ყოვლისა სინამდვილისა და მისი ფორმების დაჭერის ნიჭითა და მიღრეკილებით“.¹⁾

აკაკის ესთეტიკური კონცეფციით, თუ პოეტს შემოქმედებით ფანტაზიის ძალა არ გააჩნია, თუ ის მოკლებულია ნიშაა და უნარს ზოგჯერ „მტრედებრ აღმა ფრენდეს მოწონებით“ და ოცნების ბორევში გადაეშვას, შაშინ მისი სიტყვა დაემსგავსება „ხელოვნურ მანქანას“, რომელიც „ბულბულის ხმით უკრავდა“.

„მაგრამ ნამდვილს ისე ჰგავდა,
ვითა მწუხრი განთაადა,
ვით უსულო — სულიერსა
და აჩრდილი — მისვე ცხადსა“.

„ხელოვნური მანქანისა“ და ცოცხალი ბულბულის ხმის შორის არსებული განსხვავების ანალოგიურია აკაკის აზრით პოეტსა და მოშაირეს შორის არსებული კონტრასტი და ამიტომაც ამბობს ის:

„შევადარე ერთმანეთსა,
შევუწონე დიდსა მცარე,
და ასე ვთქვი: „სხვადასხვაა
პოეტი და მოშაირე“.

„მოშაირე“ — პოეზიის „ხელოსანია“, პოეტი კი — ხელოვანი. პირველი „მცირეა“ — რაღაც მას პოეტური აღმატერენის მაღლი არ სცხია. მოშაირეს საკუთარი პოეტური თვალი და ხმა არ გააჩნია. ამიტომ მისი ხვედრია მუღმივი მიბაძვა, რომელიც ნამდვილი პოეტური ქმნილების იღეურ-ემოციური ზე-გავლენის ძალას ერასოდეს ვერ მიაღწევს.

ნამდვილ პოეტს, რომელიც თანამედროვეობის ინტერესებით უნდა იყოს გაშვევალული, საკუთარი პოეტური ხელვისა და თქმის უნართან ერთად, პოეტური აღმატერენის ძალაც უნდა შესწევდეს.

ასე განასხვავებს აკაკი წერეთელი ერთი მეორეისაგან პოეტსა და მოშაირეს, პოეზიასა და პოეტურ ხელოსნობას.

• • •

ქართველ და რუს სამოციანელთა ლიტერატურულ-ესთეტიკური კონცეფციის ქრთ-ერთ განუყრელ ნაწილს პატრიოტიზმის მაღალი გრძნობის პროპაგანდა შეადგენდა.

ჩერნიშევსკი რუსული ლიტერატურის განვითარების კრიტერიუმად „წმინდა სიტყვას — პატრიოტიზმს“ აღიარებდა.

¹⁾ ვეგანი, იქნ, გვ. 289

მისი თქმით, ლომონოსოვი, დერეჯავინი, კარამზინი და პუშკინი დიდი მწერლები არიან უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ ისინი დაუღალვად ემსახურებოდნენ ჩუსი ხალხის განათლებისა და ესთეტიკური აღზრდის დიად საქმეს.

აკაკი წერეთელმა, ოლია ჭავჭავაძესთან ერთად, თავისი პოეტური შემოქმედება საქართველოს თავისუფლების სამსხვერპლოზე მიიტანა.

„ქაჯების“ მიერ „ცხრაკლიტულში“ გამომწყველეულ, „ფეხშიშველა, თავზე ლეჩაქახლილი“ საყვარელი სამშობლოს ტყვეობიდან დახსნა — ი პოეტის ოცნების საგანი, მისი შემოქმედების მასაზრდოებელი უმთავრესი სტიმული.

სამშობლოს სიყვარული და მისი კეთილდღეობა, პოეტისათვის უმაღლესი ეთიკური პრინციპია.

აკაკისათვის საქართველო „თვით ტყვეობაშიც ხელუხლებელი წმინდათა-წმინდაა“ და ამიტომ, ყოველთვის, როდესაც პოეტი ფიზიკური და სულიერი გადაგვარების გზაზე შემდგარ ქართველ ერს მოიგონებდა, მის გულში ულმობელი შურისძიების ცეცხლი აგიზგიზდებოდა და

„ის დანაშოენ სიცოცხლეში
არ ნატრობს მეტს აღარას,
რომ სამშობლოს მტრის სისხლითა
რლებაცდეს ჭაღარას“.

თვითმპურობელური რუსეთის მიერ ქართველი ხალხის გადაშენების პოლიტიკით გამოწყვეულ პოეტის სულიერ ტკივილებს კიდევ უფრო ამძაფრებდნენ და აუტანელს ხდიდნენ „შინაური მონები“, რომლებმაც მოქალაქეობრივი პატიოსნება ჯილდოებისა და ფულში გაყიდეს,

„ვინც თვის ტომის ტყავისაგან
შეტყვრია ქურქი თბილია“

და ამის გამო

„მას სიცოცე ვერას ავნებს
და ცხოვრებაც ელის ტკბილია“.

საკუთარი ეროვნული ინდივიდუალობის დაცვის მიზნით დამპურობელი ტლანქები ძილის წინააღმდეგ ამხედრების ნაცვლად, მის წინაშე მონური, პირუტყული შორისილების დემონსტრირების გამო მიმართა პოეტმა თავის „ხატუს“ სამშობლოს:

„ფურთხის ლირის ხაზ შენ, საქართველო“⁻².

ეს იყო იმის მსგავსი სულიერი ტანჯვით ნაკარნახევი რეპლიკა, რომელმაც ჩერნიშვილის ათქმევინა ჩაუსი ხალხის მისამართით: „უბადრუჟი ერი, მონათა ერი, ყველა მონები არიან — თვირდან ბოლომდის“⁻³.

„გულახდილ და გულახათხრობილ ველიკოროს მონებს მეფის მონარქის მიმართ, — ამბობს ლენინი, — როდი უყვართ ამ სიტყვების გახსენება. ჩვენის აზრით კი ეს სამშობლოს ნამდვილი სიყვარულის სარტყები იყო. (ხაზი ჩვენია — ვ. ჩ.), ხოლო ეს სიყვარული სევდინი იყო იმის გამო, რომ ველიკოროსების მოსახლეობის მასებს რევოლუციონერობა ფულდა...“⁻⁴)

¹⁾ ლენინ ა. XVIII გვ. 96.

სამშობლოსადმი ნამდვილი, ყალბ სანტიმენტალობას მოკლებული სიყვარულის გრძნობით იყო გამოწვეული ზემოციტირებული სასტიკი განაჩენი, რომლის ღირსადაც სცნო აკაკიმ თავისი ღროვის საქართველო.

ამ აქტში პოეტმა გამოამჟღავნა „შორეულისადმი“ — თავისუფლებისა-თვის მებრძოლ საქართველოსადმი — სიყვარულის მაღალი და სპეტაკი გრძნობა, რომლის ეთიკურ კორელატს ბედის სიმკაცრის წინაშე სულის სიმტკიცე და უდრეკობა წარმოადგენს.

„მაგრამ მე მაინც სრულ იმედით
ველი იმ მთვარეს და იმ ვარსკელაფა!
მოცტყველ მაინც არ მოვიღუნი
და ჩავალ სწორი-სწორისა საფლავსა!

ამბობს პოეტი, და ამ სიტყვებში ნათლად მოსჩანს შესანიშნავი პროფესიული უტეხი ნებისყოფის დიდი ადამიანისა, რომელიც ოლიმპიური სიმშევით ეგებება ისტორიის ქარტეხილებს და მზად არის ტარიელის თავგანწირულებით იბრძოლოს თავისი „ნესტან-დაქუჯნის“, საყვარელი სამშობლოს გამოხსნისათვის ტყვეობიდან.

ბედნიერი მომავლისადმი ფანატიკური ჩრდენა აკაკი წერეთლის შემოქმედების სპეციფიკას შეადგენს. პოეტს მტკიცედ სჯეროდა, რომ მისი „ბედი ოდესმე მთლად დალეწავდა თვითმპყრობელობის ცხრაკლიტულს“ და ადამიანური არსებობის უფლებებს მიანიჭებდა ჩაგრულ ერებს და მშრომელ მასებს, რომელთა ნაოთლარით ისუქებდნენ კისერს სოციალური პირამიდის მწვერვალზე წამოსკუპული მუქთახორები.

უკეთესი შერმისისათვის ბრძოლის სტიქიას პუსტში ოდნაგადაც ვერ ადუნებდა ის მდგომარეობა, რომ

„დეფხ-ლომი ვალაგვიშენდნენ,
გამრავლდნენ მცლა-კატები“

და ცხოვრების ზოგიერთ სათავეებს დაუფლებული იყვნენ „კუჭისათვის მოაზრე კუა-მწყრალი ლიბერალები“, რომელთა მიმართ აკაკი წერეთელი 60-იანი წლების რევოლუციონერ-განმანათლებელთა აზროვნებისათვის დამახასიათებელ შეურიგებლობასა და სიძულვილს ამელავნებს.

ორგვლივ ჩამომდგარ სოციალურ „ბურუსს“, ცხადია, არ შეეძლო პოეტში შემავლისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება გამოწვია, რადგან მან კარგად იცოდა, რომ გარიერაჟის ბურუსი ყოველთვის განთიადის თანმხლებია.

ამის შეგნებით უნდა აიხსნას, რომ აკაკი მუდამ ზგზნებრედ და უდიდესი ექსპრესით სკემად იმედის ყიფია:

„არა აყვაშტეს იმედი
გულს ვერ გამოტეს წალარა!
გმირებს უძინი... უყიფი
ჩემი დაფი და ნალარა!“

გვირები, რომელებმაც პოეტის საოცნებო ეროვნულ და სოციალურ თავისუფლების ხორცი უნდა შეასან — ახალგაზრდები არიან. აკაკის ლრმად სწამდა, რომ მაღალი ეროვნულ-საზოგადოებრივი იდეალებით რომანტიკული გარდაცმისა და მათი ანთოლიკოლებისათვის უანგარი, რაჩულული თავდადების

შალა და მისწრაფება მხოლოდ ახალგაზრდებს გააჩნდათ, და ამიტომაც გაიძახოდა პათეტიკურად, რომ

„ახალგაზრდობის მას აქვს მედი, და იმას უმღესს მარად და მარად“.

ამ ახალგაზრდობაში (და არა მარტო ახალგაზრდობაში, არამედ მთელს შაშინდელ ქართულ საზოგადოებრივობაში) ჯანსაღი პატრიოტული გრძნობისა და სოციალური სამართლიანობის იდეების დანერგვისა და აღზრდის ემსახურებოდა აკაკის შემოქმედება.

პოეტს კარგად გაეგებოდა, რომ მასებში პატრიოტიზმის წმინდა გრძნობის აღზრდისათვის მარტო მისი თანამედროვე, სანახევროდ გადაგვარებული ქართული სინამდვილის ნეგატიური კრიტიკა არ კმაროდა და საჭირო იყო ხალხისათვის ისეთი პოეტური ქმნილებების მიცემა, რომლებიც მის სულიერ აღორძინებას, ეროვნული შეგნების ამაღლებას და ნაციონალურ თავისუფლებისათვის საბრძოლველად მობილიზაციურ მზადყოფნას შეუწყობდნენ ხელს. სწორედ ამით უნდა აიხსნას აკაკის შეირ საქართველოს წარსულიდან აღებული ეპიზოდების პატრიოტული იდეალიზაცია (პოემები „თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“ და სხვ.), რაც სრულებით არ ეწინააღმდეგება მის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებათა ძირითად პრინციპებს.

ეროვნული თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის იდეების განხორციელებისათვის ბრძოლაში რომ მარტო საქართველოს წარსულის იდეალიზაცია, არსებული სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ პასიური პროცესტი და მორალური ქადაგება არ კმაროდა, აკაკისათვის ეს სავსებით ვრცელებული იყო. მან შესანიშნავად იცოდა, რომ ეროვნული და კლასობრივი ჩაგვრის ინსტიტუტის დანგრევა მხოლოდ რევოლუციურ ძალას შეეძლო და ამიტომ, სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელიც ძევსა და ახალს ზორს უნდა გაიმართოს, სისხლს, მსხვერპლს მოითხოვს.

„თქვენ მომქლები ხართ! ხელს თუ გთიქრით,
ნუ ერიდებით ცოტა სისხლის დრას“,

მიმართავს პოეტი ქვეყნის მოწინავე, ცხოვრების განმაახლებელ ძალებს და ამ მიმართებით ერთხელ კიდევ ცხადჲყოფს, რომ მისი შემოქმედება არა მარტო ასახავდა ცხოვრების მოვლენებს და მსჯავრს სდებდა მათ, არამედ რევოლუციური მოქმედების პრაქტიკულ პროგრამასაც იძლეოდა.

ყოველივე ეს წარმოადგენდა მხატვრულ კონკრეტიზაციას აკაკის ლიტერატურულ-ესთეტიკური სოფლმხედველობისა, რომელიც, როგორც თავშივე აღნიშნეთ, იძლო იდეურ ნათესაობაში იმყოფებოდა რუს სამოცანელთა რევოლუციური ესთეტიკის ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ საფუძვლებთან.

„უოგოლის ნამდვილი დამსახურება, — წერდა ჩერნიშევსკი — იმაშია, რომ მან ჩვენში გამოაღვება შეგნება თვით ჩვენი საკუთარი თავის შესხებ“.

აკაკი წერეთელმა, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, დაუფასებელი დაწილი დასღო ქართველი ხალხის ეროვნული გამოვლინების, მააში ნაციონალურ რევოლუციური შეგნების დანერგვის დიად საქმეს.

“აკაკი ჭეშმარიტად სახალხო პოეტი იყო, რომელმაც შესძლო ბოლომდე გამსჭვალულიყო თავისი ხალხის სულით, მისი ტკიფილებითა და სიხარულით და ყველაფერი განეცადა იმ უშუალო გრძნობით, რომელიც თვით ხალხის კუთვნილებას შეადგენს.

ადამიანთა ყოველდღიურ ურთიერთობაში ნაპოვნი და ამოკრეფილი „ცხოვრების სიმართლე“ აკაკიმ ხალხს დაუბრუნა, ხალხის საშსახურში ჩააყენა იმ შესანიშნავი ლექსების, პოემების და მოთხრობების სახით, რომელთა თავისებურებას ქართველ და რუს სამოციანელთა ესთეტიკური კოდექსიდან გამომდინარე ფორმის უბრალოება და ხალხურობა შეადგენს.

ქართველი ერის, ქართველი მშრომელი ხალხის უანგარო სამსახურს შეწირა დიდმა პოეტმა თავისი ბუმბერაზი შემოქმედება, პოეზიის თილისმური ძლიერების ჩანგი, რომელიც მოუდუნებლად, გამამხნევებლად და ოპტიმისტურად ულერდა მუდამ, ქართველი ხალხის უდიდესი განსაკულელის წუთებშიაც.

საერთო გულგატებილობის, უიმედობისა და სასოწარკვეთილების უამსაკროეტი წინასწარმეტყველურად და იმედიანად გაიძახოდა:

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს!“—ო.

და თანაც სწამდა, ღრმად სწამდა, რომ საქართველო, ქართველი მშრომელი ხალხი

„როდესაც გაიღვიძებს,
გოგონებს იმათ სახელს,
ვინც დღეს იმას არ ივიწყებს“.

აკაკის წინასწარმეტყველება ახდა. ქართველმა ხალხმა გაიღიძა; ის აღსდგა, აღორძინდა და სტალინური კონსტიტუციის მწით გამობარი შეუნელებლად მისწარაფის წინ — კომუნიზმის მწევრვალებისაკენ.

მაღლიერი ქართველი მშრომელი ხალხი, რომელმაც აკაკის თავის გულში მარად ურღვევი, ხელთუქმნელი ძეგლი აუგო, მთელი საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებთან ერთად, დღეს დიღებით ივონებს საყვარელი პოეტის სახელს, იმ დიდი მოქალაქისა და შემოქმედის სახელს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლას მოახმარა.

მისამართი ჩიქოვანი

ეკაკი ნერეთლის ლექსების ფოლკლორები ვარიანტები

აკაკი წერეთელი დიდ ყურადღებას აქცევდა ხალხურ შემოქმედებას. სახელოვანი მგოსანი კარგად იცნობდა ფოლკლორის თვითეულ უანრს და მთელი თავისი ავტორიტეტით ეწეოდა ფართო მასების მხატვრული შემოქმედების პოპულარიზაციას. არა ერთი და ორი მხურვალე წერილი მიუძღვნია აკაკის ამ საკითხისადმი. 60-იან წლებიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე მგოსანი არ ივიწყებდა მშრომელი ხალხის შემოქმედებას, სწავლობდა მას, ჰკრებდა, ბეჭდავდა და ხშირად საკუთარი პოეტური აღმაფრენის საგნალაც იხდიდა.

ფოლკლორი ნაციონალური კულტურის ერთერთი შენაკადია, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა, ზეპირი ტრადიციით თაობიდან თაობას გადმოეცემოდა. აკაკის აზრით ხალხურ შემოქმედებას არა მარტო დიდი ესთეტიკური, მხატვრული ღირებულება აქვს, არამედ ის „უტყუარი სარკეა გადასული ცხოვრებისა და ისტორიის მტკიცე საძირკველი“.

1893 წელს „კვალის“ ფურცლებზე, დიდებულმა შეოსანმა თავისი შეხედულება სიტყვიერებაზე ასე ჩამოაყალიბა: „ხალხური ლექსები, შაირები, თქმულობა, ლეგენდები, იგავ-არაკები და სხვანი, რაც კი შეადგენს ზეპირ-სიტყვიერებს, სახოვალოდ ყოველი ხალხისათვის ძეირფასი განძია, როგორც მტკიცე საძირკველი მისი ისტორიისა და უტყუარი სარკე მისი წარსული ცხოვრებისა“. 1)

აკაკი წერეთელმა მშრომელი ხალხისმიერ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი პოეზია ნაციონალური კულტურის საფუძვლად გამოაცხადა. ამის გამო „არც ერთი საქმე ისე სასწრაფო არ არის, როგორც ზეპირგადმოცემების შექრება-შეგროვება“, უვეწვიოთ მთას, ბარს და შევკრიბოთ სახალხო ნაწარმოებები; შევინახოთ და წერილობით გადავცე მომავალ თაობებს“, სწერდა პოეტი და მაგალითსაც თვითონ იძლეოდა. აკაკის მოწოდება ყველას გულზე ხვდებოდა და ბევრი ენთუზიასტი გაუჩნდა ქართული ფოლკლორის შექრების საქმეს. დიდი მოჭირნახულე პოეტი ყველა თანამედროვეზე უკეთ გრძნობდა ხალხური შემოქმედების ბრწყინვალე მარგალიტების შექრების სუცილებლობას: უკავება იმათი დაკარგვა, მიშველება უნდა და ჯერ კიდევ მოსახერხებელია მათ მოგრძოვება, იმათი დავიწყება წარსულზე ხელის აღებაა“. „ფოლ-

კლონტულ ნაწარმოებების შეკრება წმინდათა წმინდა საქმეა“. „იმისი დაკარგვა, დავიწყება ჩვენი სიკვდილია და თუ სიკვდილი არ გვინდა, უნდა მალე მივე-შველოთ“. რაოდენი სიყვარულია აკაკის ამ სიტყვებში ხალხური შემოქმედება. „საწყისთა საწყისია“, მას უნდა სწავლობდე; აგროვებდე და ამუშავებდე. ასე-თია გენოსი პოეტის ურყევი აზრი. აკაკის ეს სიყვარული სიკვდილისღებულები შერჩა. რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით გატაცებული მეოსანი მუდაჭ ხალხთან იყო, არასოდეს არ უღალატნია მისოვის, არც კალმით და არც საქმით.

აკაკი ხალხური პოეზითა შთაგონებული. აკაკი წერეთლის შემოქმედება ფოლკლორთან უფრო მეტ კავშირსა და ნათესაობაში იმყოფება, ეინებ მის წინადროინდელ მწერლობასთან. ამას ადასტურებს მისი ლირიკა, პოემა, დრამა, პროზა და ბუბლიცისტური გამოსვლები. შემთხვევითი არ არის 1913 წელს აკაკის მიერ საჯაროდ გაცხადებული სიტყვები ერთ ხალხურ ლექსზე: „არა თუ დღევანდელი მჯდაბნელი და მათ რიცხვში მე თქვენი უმორჩილესი მონა, თვით რუსთაველიც კი მთაწერდა შეურტვენლად ხელს. და ამ გვარი მარგალიტები იშვიათი არ არის ზეპირსიტყვაობაში“.¹⁾ ხალხი გენოსია. ის შეუდარებელ ოსტატობას იჩენს პოეტურ სახეთა დახატვაში და არა თუ ჩამოუვარდება ინდივიდუალურ პოეტობას, პირიქით, მასზე მაღლა დგას. კოლექტიური პოეტი წინ დგას, არა მარტო ტიპის შექმნაში, შემოქმედების მწერვალს აღწევს ლირიკაშიც, ადამიანის განცდათა წარმოსახვის ამ ყველაზედ რთულ დარღვი: ამის ნიმუშია აკაკის მიერ საქვეყნოდ ქებაშესხმული ლექსის ერთი ნაწყვეტი:

„მენს ლოყას ვარდი ყვაოდა, გშევნდა ლი ფერია,
ლაწვმიცმუმიმე, ხალივით, ნამი ცით მონაბერია;
შერით დაგურენდა ნიავი, გრძელედა დალალკავებსა,
წარბი, წაწაპი ყორნისა პშურავდა გიშის თფაღებსა..“

ქართული ხალხური ლირიკული პოეზიის ამ შედევრში ნათქვამია:

„ხომალდში ჩაჟავეჭ, ზღვას გაველ, ფრინგის ქერძნები ფნაბეჭ,
სულ დავისარე ხმელეთი, ვერ ვნახე შენი სახო,
ანთებულ სანთელს გამსგავსე, თილით ცისკარზე ვნაბეჭ,
ხელში გევირა ყმაწვილი, ფარსაგ ვერ დაგინახეო“.

აკაკი აღტროვანებულია ამ ლექსით. პოეტი მის საერთაშორისო პარალელებს რაფაელის ხელოვნებაში ნახულობს. „მსოფლიო გენიოსმა მხატვარმა რაფაელმა, როდესაც მშევნიერების გამოხატვა უნდოდა, უკეთესი ველარია მონახა რა და მშევნიერ მაღინას მისცა ხელში უმშევნიერესი ყრმა, რომელსაც სიყვარულით ზედ დაპქათქათებს დედა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ შეიჩის დამწერს, არც ეს სურათი უნახავს და არც რაფაელი გაუგონია, მაგრამ ზეგარემო შთაგონებამ მიიყეანა რაფაელის აღმაფრენამდე“!

მეცხრმეტე საუკუნეში ქართულ ფოლკლორს აკაკისთანა დამფასებელი და მოყვარული იშვიათად თუ ვინმე ჰყოლია. აკაკი დედის ძუძუსავით შეიკუთვიას ხალხური პოეზია, შილო ის, როგორც გამაახალგაზრდავებელი ძალა და მასზე დაემყნო, ხალხმაც თავისი მხრით გულწრფელად შეიყვა-

¹⁾ „ოქმი“, 1913 წ. 14 118

ჩა სახელოვანი მეოსანი. მრიტაცა შისი პოეზია და მშობლიური კალთა გადა-
ბფარია. ასე გაინასკვა აკაკის დიადი ხალხურობა და აკაკის ინდივიდუალური
პოეზიის ფოლკლორში გადასასვლელი გრძები.

ფოლკლორშე მხატვრული მწერლობის გავლენის მშვენიერ მაგალითებს
აკაკი წერეთლის პოეზია გვაწვდის. აკაკის მრავალი თხზულება ზეპირი გზით
გავრცელდა და კვლავ ვრცელდება. განსაკუთრებით ეს ითქმის მის ლირიკაზე,
კერძოდ შრომის ლირიკაზე და სატრაფიალო ლექსებზე. ჩვენ მოგვეპოება ცნო-
ბები, რომ აკაკი წერეთლის ლექსებს 60-იან წლებში დაბეჭდვისთანავე მღე-
როდნენ, კიდევ უფრო მეტი ითქმის პოეტური შემოქმედების აყვავების პერი-
ოდზე. აკაკის ლექსები კუთხიდან-კუთხეში გადადიოდა და ანონიმური, „უავ-
ტორო“ ნაწარმოების სახეს იღებდა. არა თუ ადრე, არამედ დღესაც შევხვდე-
ბით მთქმელს, რომელმაც არ იცის, თუ მის მიერ ხალხურად გასაღებული ლექ-
სის ავტორი აკაკი წერეთლია. აკაკის ნაწარმოებთა ფორმა, შინაარსი და
იდეური განწყობილება აახლოვებს მას ხალხურ პოეზიასთან, წარმოგვიდგენს
შას თითქოს უკანასკნელის ერთერთ განშტოებად და ამ ნიადაგზე სახალხო
მთქმელები და მომღერლები ვეღარ ამჩნევენ მათ შორის არსებულ განსხვავე-
ბას. აკაკის ლექსების მთქმელები ხშირად წმინდა ფოლკლორულ ნაწარმოებე-
ბად იღებენ. ჩვენ ამის არამდენიმე შემთხვევა გვქონია. სანიმუშოდ დავასახე-
ლებთ რა მთქმელს და აქვე უუჩვენებთ აკაკის ლექსების როგორც ზეპირ, ისე
მწერნობრულ გარიანტებს.

1935 წელს ლექსეუმში სოფ. ალვში ღრმა მოხუცი კოლმეურნე ქალის კე-
კელა ყურაშვილის თქმით ჩაგვწერ აკაკის „ქართველი ქალის“ ფოლკლორული
გარიანტი. ¹⁾ მთქმელმა წერა-კითხვა იცის, ის არაა ავტორ-მთქმელი. მან არ
იცია ასევდიანი ქალის „მწიგნობრული წარმოშობის შესახებ რაიმე და ის
გვამსრო როგორც ხალხური პოეზიის ძვირფასი ნიმუში სხვა ლექსებთან ერთ-
თას. თვალსაჩინოების მიზნით აქვე ვაჭვეუნებთ რაჩივეს.

აკაკი

მართველი ჩალი

მწერარე და სევდიანი
სერჩედ იღვა ერთი ქალ,
ფერმინდალა მდელვრებია
„შორის ეჭირა გზისკენ თვალი,
მას ეწოდადა, რომ შეეტყო
მისი ქვერის ბედის წერა;
შეკრის მოქერა შორით თვალი
და დაუწყო გულმა ძევრა;
მოდისა, მხლოს მოსულს;
— „ე დამფუძნე ნურაუცხა,
თოშებ ბოლოს გაზღვევნები,
ხატიცები ზეციცხა!“
წინ წმოდე მონაძ ბიჯი,
ტორილით მოხსენა:
— აკა ჩემს თავს! მჯობს დამებას
ცუდვილი და მწირე ენა!

ხალხური

სევდიანი ჩალი

მწერარე და სევდიანი
სერჩედ იღვა ერთი ქალი
ფერმინდალი მდელვრებია,
შორის ეჭირა გზისკენ თვალი,
მას უნდადა, რომ შეეტყო
მისი ქეცუნის ბედის წერა,
შეკრის მოქერი შორით თვალი
და დაუწყო გულმა ძევრა.
მიაძხა ახლო მოსულს
— ნუ დადგარე ნურაუცხა,
თოშებ ბოლოს გაზღვევნები,
ზეციცხა ზეციცხა.
წინ წმოდე მონაძ ბიჯი,
ტორილით მოხსენა:
— გა ჩემ თავსა ჯობს დამებას
ცუდვილი და მწარე ენა:

¹⁾ მთქმელის შესხებ ცნობები ის, მის ჩიქვენის „ხალხური უფლის ტყოსანი“, გვ-2
გვ. 1937 წ. გვ. 264.

შენდავ შენზედ უჩავლია
 შვებელისა ყორანს შაგსო!
 როდა გითხრა მე საბრალომ
 შენ, შვილების დამკარგასო?“
 ქალმა უთხრა: სუ!.. არ გითხავ?
 ჯერ მითხარი შენ ესაო:
 თაორებს დარჩა გამარჯვება
 თუ ჩვენ ძლიერ მეფესაო.
 — „ეგ რა ბრძანეთ?“ ქართველ ჯარსა
 განა სძლევდა თათარი?
 ოფით არ მიგა და მოსულ მტერს,
 რომ დაუხვდეს მზად არიო!
 ზარი დაცუეს სერასქირსა,
 არ მასულა ჯერაც გონისა!
 ქართველები ღმერთის მადლობენ,
 ადიდებინ სოლომონისა!“
 ქართლის ქალი პირველის იწერს:
 — „მადლი ზენა ქართველებსო!
 აბა აბა მომიყევი,
 რაც გადახდა ჩემს შეილებო“.
 — „შენი პირმშო აღარა გყავს,
 ალექსანდრე მოვილები;
 უმცროსი ძმა მიეშველა,
 იმშაც დღე უმოკლესო.
 თათრის ტყვიამ გაუხერიტათ
 თრთავ გულის ფიცარიო;
 მოკედნ, მაგრან სახელა უ
 ნახეს დაუფიწყარიო..
 ეს რომ ესმა, ქართლის ქალი
 უკნაურად დაიღრია,
 ამოკერა ძუძუბი,
 მოთქმით თვეი მოიგლია.
 — „ვაი ლეჩაქს შერტხვენილსა,
 ვაჲ ძუძუბს გაკუბულო,
 ვაი დედას, თითქმის პირ-შავს,
 რა მახვილი მეტა გულსი!
